

ინტერესთა კონფლიქტი და პასუხისმგებლობის საკითხი კორპორაციულ  
ჯგუფში, ქართული პერსპექტივები შედარებით სამართლებრივ ჭრილში

მარი ტოხოსაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ ცერცვაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარი ტოხოსაშვილი

05 თებერვალი 2019 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის საკვლევ საკითხს წარმოადგენს კორპორაციულ ჯგუფში წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტისა და პასუხისმგებლობის საფუძვლების შედარებით სამართლებრივი ანალიზი. ამ მიზნით ნაშრომი განიხილავს როგორც ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას, ასევე აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების საუკეთესო რეგულაციებს. მოცემული კვლევა საინტერესოა, რადგან დღესდღეისობით საქართველოს საკორპორაციო სამართალში არ არსებობს კორპორაციული ჯგუფების ერთიანი საკანონმდებლო რეგულირება. შესაბამისად, მკითხველი შეძლებს გაეცნოს ქართული კანონმდებლობის პერსპექტივებსაც. ნაშრომში განხილული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: კორპორაციული ჯგუფის ცნება, მისი სუბიექტები, დომინირება-დაქვემდებარების ურთიერთობები და ჯგუფში გაერთიანების დადებითი/უარყოფითი ფაქტორები. ასევე კვლევა შეეხება ჯგუფის, წევრი საწარმოების, პარტნიორებისა და სტეიკჰოლდერების ინტერესთა კონფლიქტს და პასუხისმგებლობის საკითხებს.

საკვლევი საკითი აქტუალურია, რადგან დღეისათვის მრავლად გვხვდება დამოუკიდებელი საწარმოების სახელშეკრულებო თუ დე-ფაქტო გაერთიანებები, რომელთა რეგულირება არ ხდება არც საკანონმდებლო ნორმებით და არც სასამართლო პრაქტიკით. საკორპორაციო სამართალი კორპორაციული ჯგუფისა და მისი წევრი საწარმოების ცნებების ერთიან განმარტებებსაც ვერ გვთავაზობს. ნაშრომი განმარტავს, რომ კორპორაციული ჯგუფებისათვის ერთიანი რეგულაციების შემოღება აუცილებელია და შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო ნორმების, უცხოური თუ ქართული დოქტრინისა და სასამართლო განმარტებების ერთობლივი ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კორპორაციული ჯგუფი; დედა და შვილობილი საწარმო; ინტერესთა კონფლიქტი; პასუხისმგებლობის საკითხი.

## Abstract

The subject of study of the present paper is a comparative legal analysis of the conflict of interests arising in the corporate group and the main issues of responsibility. For this purpose, the thesis will analyse both Georgian legislation and court practice, as well as the best regulations of the US, Germany, Great Britain and other European countries. This study is interesting because nowadays there is no uniform legislative regulation of corporate groups in the Georgian corporate law. Consequently, the reader will be able to get acquainted with perspectives of Georgian legislation. The paper will discuss important issues such as the concept of corporate group, its subjects, dominance and subordination relationships and positive / negative factors of membership of the group. The study also concerns the problems of responsibility in the case of conflict of interests between the group, its member enterprises, partners or stakeholders and the issues of distribution of advantages between them.

Research subject is relevant because nowadays there are many contractual and de-facto unions of independent enterprises that are not regulated by either legislative norms or court practice. Corporate law can not provide a unified definition of the concepts of corporate groups or their member enterprises. The work explains that introduction of uniform regulations for corporate groups are essential and can only be based on joint analysis and compilation of legislative norms, foreign or Georgian doctrine and judicial interpretations.

**Key words: corporate group; mother and subsidiary enterprise; conflict of interest; responsibility.**